

ფაქტობრივი  
გარემოებები

საწარმო, 2006 წელს შექმნილი ამხანაგობის დაკვეთით, მოახდინა მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის მშენებლობის დასრულება. რომელიც მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ შეცვანილია დღგ-ით ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ იმ ობიექტთა ნუსხაში, რომელზეც ვრცელდება სსკ-ის 309-ე მუხლის 79-ე და მე-80 ნაწილებით გათვალისწინებული შეღავათები. მშენებლობის ნებართვა 2008 წლის თებერვალში გაცემულია ამხანაგობის სახელზე. საწარმოს განეული მომსახურების სანაცვლოდ გადაეცა მშენებარე ფართის გარკვეული ოდენობა.

საწარმო მიიჩნია, რომ აკმაყოფილებდა სსკ-ის 309-ე მუხლის 79-ე - 81-ე ნაწილით გათვალისწინებულ ყველა პირობას და დღგ-ით არ დაბეგრა არც ამხანაგობისათვის განეული სამშენებლო მომსახურება და არც ამხანაგობიდან განეული მომსახურების სანაცვლოდ მიღებული უძრავი ქონების (კომპლექსში არსებული ბინების) მიწოდება.

შეფასება

სსკ-ის 309-ე მუხლის 79-ე ნაწილის შესაბამისად, დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით თავისუფლდება 2015 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე პერიოდში განხორციელებული უძრავი ქონების მიწოდება და მასთან დაკავშირებული სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების განევა, თუ შესრულებულია სსკ-ის 309-ე მუხლის 79-ე - 81-ე ნაწილებით გათვალისწინებული ყველა პირობა. სსკ-ის 309-ე მუხლის მე-80 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის 79-ე ნაწილის შესაბამისად დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული უძრავი ქონების მიწოდების განმხორციელებელი პირისათვის იმ ობიექტთან დაკავშირებით განეული სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურება, რომელიც ამ მუხლის 81-ე ნაწილით გათვალისწინებულ ნუსხაშია შეტანილი, გათავისუფლებულია დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით. ამასთან, სსკ-ის 309-ე მუხლის 79-ე ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა გულისხმობს, რომ მიწოდების მომენტისათვის უძრავი ქონების მიწოდების განმხორციელებელი პირი უნდა იყოს ამ ობიექტზე გაცემული მშენებლობის ნებართვის მფლობელი.

იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო უძრავი ქონების მიწოდების მომენტისათვის არ იყო შესაბამისი ობიექტზე გაცემული მშენებლობის ნებართვის მფლობელი, საწარმოს უფლება აქვს, ისარგებლოს დადგენილი შეღავათით, მხოლოდ ამხანაგობისთვის განეული მომსახურების ნაწილში. ხოლო ამხანაგობიდან განეული მომსახურების სანაცვლოდ მიღებული აქტივის (ბინების) გადაყიდვა დაეჭვმდებარება დღგ-ით დაბეგვრას.

ღონისძიებები

საწარმოს დაერიცხება დამატებული ღირებულების გადასახადი და დეკლარაციაში გადასახადის შემცირებისათვის დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლის მიხედვით .

- სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2018 წლის 10 აგვისტოსთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით და ვრცელდება 2015 წლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

## ანოტაცია

### „ამხანაგობიდან განუღი მომსახურების სანაცვლოდ მიღებული საცხოვრებელი ფართის (ბინების) მიწოდების დღგ-ით დაბეგვრაზე“ N11117 სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

წარმოდგენილი სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს „ამხანაგობისათვის განუღი მომსახურებისა და სანაცვლოდ მიღებული საცხოვრებელი ფართის (ბინების) მიწოდების დღგ-ით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, საწარმო, 2006 წელს შექმნილი ამხანაგობის დაკვეთით, მოახდინა მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის მშენებლობის დასრულება. რომელიც მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ შეყვანილია დღგ-ით ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ იმ ობიექტთა ნუსხაში, რომელზეც ვრცელდება სსკ-ის 309-ე მუხლის 79-ე და მე-80 ნაწილებით გათვალისწინებული შეღავათები. მშენებლობის ნებართვა 2008 წლის თებერვალში გაცემული იყო ამხანაგობის სახელზე.

საწარმოს განუღი მომსახურების სანაცვლოდ გადაეცა მშენებარე ფართის გარკვეული ოდენობა.

აღნიშნული კომპლექსი, როგორც ამხანაგობის საკუთრება, ქ. თბილისის მერიის მიერ შეტანილია იმ ობიექტების ნუსხაში, რომლებიც გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით. საწარმო მიიჩნია, რომ აკმაყოფილებდა სსკ-ის 309-ე მუხლის 79-ე - 81-ე ნაწილით გათვალისწინებულ ყველა პირობას და დღგ-ით არ დაბეგრა არც ამხანაგობისათვის განუღი სამშენებლო მომსახურება და არც ამხანაგობიდან განუღი მომსახურების სანაცვლოდ მიღებული უძრავი ქონების (კომპლექსში არსებული ბინების) მიწოდება.

სსკ-ის 309-ე მუხლის 79-ე - 81-ე ნაწილების შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო უძრავი ქონების მიწოდების მომენტისათვის არ იყო შესაბამის ობიექტზე გაცემული მშენებლობის ნებართვის მფლობელი, საწარმოს უფლება აქვს, ისარგებლოს დადგენილი შეღავათით, მხოლოდ ამხანაგობისთვის განუღი მომსახურების ნაწილში. ხოლო ამხანაგობიდან განუღი მომსახურების სანაცვლოდ მიღებული აქტივის (ბინების) გადაყიდვა დაექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას.

შესაბამისად, განისაზღვრება საწარმო-ს კუთვნილი საგადასახადო ვალდებულებები და დაერიცხება როგორც დამატებული ღირებულების გადასახადი, ასევე, დეკლარაციებში გადასახადის შემცირების შემთხვევაში, სსკ-ის 275-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა.

*სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2018 წლის 10 აგვისტოსთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით და ვრცელდება 2015 წლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.*

